ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერია
1000, ბაღდათი, წერეთლის ქ. # 9
ტელეფონი: (+995) 591 90 90 05
ელ-ფოსტა: info@baghdati. gov. ge

Baghdati Municipality City Hall
9, Tsereteli Street, Baghdati,Georgia, 1000
Telephone: (+995) 591 90 90 05
E-mail: info@baghdati. gov. ge

www. Baghdati. gov. ge

N 41/1878
20/05/2020

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა

და გარემოს დაცვის კომისიის თავჯდომარეს

ბატონ გია სახამბერიძეს

ბატონო გია,

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილება კოორდინაციას უწევს სოფლის მეურნეობის განვითარების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების მომზადებას, ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში გარემოს დაცვითი ღონისძიებების გატარებას და აქტიურად თანამშრომლობს აღნიშნულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან, უზრუნველყოფს მოსახლეობის ინფორმირებას საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობი პროექტების შესახებ

განყოფილება აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტის მასშტაბით მიმდინარე სასოფლო- სამეურნეო პროცესებში. მიმდინარე პერიოდში ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინტენსიურად მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები. ამ ეტაპზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხვნა-თესვაში მონაწილეობას ღებულობს სულ 36 ერთეული ტრაქტორი აქედან: სოფ.როხში 13 ერთეული(10ბელარუსი,3 კ700),სოფ.ვარციხე 7 ერთეული(5ბელარუსი,2 ტ-100), სოფ.დიმი 6 ერთეული, სოფ.დიდველა 3 ერთეული, სოფ.როკითი 2 ერთეული, სოფ.ხანი 1ერთეული, სოფ.ფერსათი 1 ერთეული, სოფ. მე_2 ობჩა 1 ერთეული, სოფ.საკრაულა 1 ერთეული, ქ.ბაღდათი 1 ერთეული. მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ ნაკვეთებს ამუშავებს კერძო ტრაქტორებით და მოტობლოკების საშუალებით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 5267 ჰა სახნავი კატეგორიის მიწის ფართობიდან დამუშავებულია 1547 ჰა. მათ შორის დათესილი ფართობის რაოდენობა არის 1226 ჰა(დანართის სახით წარმოგიდგენთ ინფორმაციას ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2020 წლის მოხნული და დათესილი ფართობის შესახებ 8 მაისის

მდგომარეობით). ხვნა-თესვა მუშა პროცესშია და ინფორმაცია ექვემდებარება განახლებას.

2020 წლის 12-15 თებერვალს ქ. ბერლინში ჩატარდა ღვინის საერთაშორისო ფესტივალი “weinmesse berlin”, სადაც მონაწილეობას იღებდა ბაღდათის დელეგაცია და წარმოდგენილი იყო ბაღდათელი მეღვინეების საოჯახო მარნების ღვინო. ბერლინის საერთაშორისო ღვინის ფესტივალი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის დელეგაციისთვის.განხორციელდა წარდგენილი ყველა ბოთლი ღვინის რეალიზაცია. ასევე რაც ყველაზე მნიშვნელოვანია შედგა ახალი კონტაქტები და დაიგეგმა ევროპული ღვინის ბიზნეს ოპერატორებთან შემდგომი თანამშრომლობის გეგმა. რისი ნათელი მაგალითიცაა 2020 წლის მაისში მსოფლიო პანდემიის „covid19”_ტის პირობებში, როდესაც აკრძალული იყო მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საერთაშორისო გადაზიდვები, საერთაშორისო ფრენები, გერმანულმა ღვინის ბიზნეს ოპერატორებმა მოახდინეს ბაღდათის მუნიციპალიტეტის საოჯახო ღვინის 5 მარნიდან 1000 ბოთლი ღვინის შესყიდვა. აღნიშნული ფაქტი ისტორიულია და უდაოდ წარმატებულად უნდა ჩაითვალოს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მეღვინეობისათვის.

ჩვენი განყოფილება აქტიურად ანხორციელებს შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ხდება მათი ინფორმირება აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ღონისძიებების შესახებ. უკვე განხორციელდა მონიტორინგის პირველი ეტაპი.ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში განისაზღვრა და განთავსადა ფერომონები.აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის ფარგლებში სოფ. როკითსა და სოფ.ზედა დიმში განხორციელდა ფერომონების მონტაჟი და შეწამვლა. მიმდინარე წლის 11 მაისს დაიწყო მეორე ეტაპი და სრულიად მოცული იქნება მინიციპალიტეტის ყველა სოფელი.

დანართის სახით. 1 ფურცელი.იხილეთ ბაღდათის მუნიციპალიტეტში ამჟამად დახნული და დათესილი მიწის ფართობების რაოდენობა.

პატივისცემით,

არჩილ გოგსაძე

მუნიციპალიტეტის მერი